2005
2014

სასამართლო სისტემის რეფორმა საქართველოში

JUDICIARY REFORM IN GEORGIA

თბილისი 2014 TBILISI

სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები (2005–2014 წლები)

1997-98 წლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონების მიღებით საქართველოს ისტორიაში პირველად დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმა. სამწუხაროდ, უკვე ერთი წლის შემდეგ არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ ცხადყო, რომ სასამართლო რეფორმა საქართველოში ვერ შედგებოდა. იმ დროს ქვეყანაში არ არსებობდა ყველაზე მთავარი, რაც რეფორმების გატარებისათვის არის აუცილებელი – ხელისუფლების ნება, რის გამოც, არ განხორციელდა იმ სისტემათა (პროკურატურა, პოლიცია, ადვოკატთა კორპუსი) რეფორმა, რომელთაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება ჰქონდათ სასამართლოსთან, რამაც, საბოლოო ჯამში, სასამართლო რეფორმის არა თუ შეფერხება, არამედ მისი ჩავარდნა გამოიწვია. უფრო მეტიც, სასამართლო სისტემის რეფორმა დაიწყო შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსების მობილიზაციის გარეშე. აღნიშნული ფაქტის შედეგად სისტემაში დაგროვდა უამრავი პრობლემა, რომელთა შორის განსაკუთრებით მწვავე იყო არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციური მოსამართლის საქმიანობა, რაც სასამართლო სისტემაში მასშტაბურ კორუფციას და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის უმდაბლეს ხარისხს განაპირობებდა.

2003 წელს ხელისუფლების შეცვლის შედეგად საქართველოში ყველა მიმართულებით დაიწყო რეფორმების განხორციელება. შესაბამისად, 2005 წლის დასაწყისში შემუშავდა კონცეფცია და ფაქტობრივად ხელახლა დაიწყო სასამართლო რეფორმა, რომელიც სასამართლო სისტემის მოწყობასა და გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ

MAIN DIRECTIONS OF THE JUDICIARY REFORM (2005-2014)

After adopting the organic laws on Common Courts and on Supreme Court in 1997-98, the judiciary reform was initiated for the first time in the history of Georgia. Unfortunately, the existing political and economic situation made it clear after a year that implementation of the judiciary reform would be impossible in Georgia. At that time the country lacked the most important thing that was necessary for carrying out the reforms – the will of the government authorities. This is why the systems that were directly or indirectly linked to the judiciary (prosecutor's office, police, the bar) failed to be reformed, which caused not only the hindrance, but also the failure of the judiciary reform. Moreover, the judiciary reform started without mobilizing relevant financial and material resources. Hence above-mentioned, many problems accumulated within the system, the major ones resulting from the activities of many dishonest and underqualified judges that accounted for the large-scaled corruption within the judiciary system and, correspondingly, for the lowest degree of independence.

ყველა საკითხს მოიცავს. რეფორმის ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაბიჯი არსებითად დაკავშირებულია ერთმანეთთან და მათი კომპლექსური, ეტაპობრივი განხორციელება აუცილებელია დასახული მიზნის – დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის – მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმა მიმდინარეობს საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, რომლებიც მონაწილეობენ რეფორმის სხვადასხვა მიმართულების განხორციელებაში. ესენია: ნორვეგიის კანონის უზენაესობის პროგრამა (NORLAG), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაცია (OSCE), ევროპის საბჭო და სხვები.

As the result of power shift in 2003, implementation of reforms in all the directions started in Georgia. Consequently, the concept was elaborated in the beginning of 2005 and in fact the judiciary reform started anew. It comprises all the issues related to the arrangement and smooth functioning of the judiciary system as well. All the more or less important steps of the reform are substantially linked to one other and their coherent and gradual implementation is necessary for achieving the goal – creation of an independent judiciary system.

It should be pointed out that the judiciary reform is being carried out with active support of Georgia's partner countries and international organizations, which are involved in implementation of various directions of the reform. These are: the Norwegian Mission of Rule of Law Advisers to Georgia (NORLAG), United States Agency for International Development (USAID), The Judicial Independence and Legal Empowerment Project (JILEP), American Bar Association (ABA), United Nations Development Program (UNDP), German Society for International Cooperation (GIZ), Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), Council of Europe, etc.

1997–1999 წლები – სასამართლო რეფორმა

1. რეფორმის საფუძვლები და მიღწევები:

ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღება;

ბ) „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღება;

გ) მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების ახალი სისტემა;

დ) სისტემიდან წავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების დროს დანიშნული მოსამართლეები;

ე) თანამდებობებზე დაინიშნენ გამოცდაჩაბარებული და კონკურსგავლილი მოსამართლეები.

2. რეფორმის ჩავარდნის მიზეზები:

ა) მცირე ხელფასი (რომელიც ხშირად არ გაიცემოდა);

ბ) შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობა;

გ) სხვა სტრუქტურებში რეფორმის გაუტარებლობა;

დ) ხელისუფლების ნების არარსებობა;

ე) ქვეყანაში არსებული კორუფციული გარემოს კიდევ უფრო გაუარესება.



1997-1999, JUDICIARY REFORM

1. FUNDAMENTALS AND ACHIEVEMENTS OF THE REFORM:

a) Passing the Organic Law on Common Courts of Georgia;

b) Passing the Organic Law on Supreme Court of Georgia;

c) New system for appointment of judges;

d) Judges appointed during the Soviet period left the system;

e) Appointments were provided to the judges who passed the exams and went through the selection process.

2. CAUSES OF REFORM FAILURE:

a) Scanty salaries (that often were not distributed);

b) Lack of relevant material and technical resources;

c) Failure to carry out reforms at other structures;

d) Lack of the will of the government;

e) Worsening of the existing corrupt environment in the country even more.

I ინსტიტუციური ცვლილებები

1997-98 წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემა, რომელიც, ინსტანციურობის პრინციპის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მკვეთრად არ იყო გამიჯნული. 2005 წელს დაწყებული რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია იყო. შეიქმნა მწყობრი, ფუნქციურად გამართული სისტემა და, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა თანმიმდევრული ინსტანციურობის პრინციპი.

I INSTITUTIONAL CHANGES

The judiciary reform, which was carried out in 1997-98, resulted in the establishment of judiciary in Georgia; however, the principle of sequential order of instances was not clearly defined. One of the main directions of the reform that had started in 2005 was the institutional reorganization of the judiciary that led to the creation of a smooth, functionally balanced system and correspondingly, the principle of sequential order of instances was ensured.

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო, მაგისტრატი მოსამართლე

2005 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოების მოდერნიზება, რაც მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა დაზუსტებასა და მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრას ითვალისწინებდა. დღეის მდგომარეობით ახლებურად ჩამოყალიბდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სტრუქტურა: სისტემის შემადგენლობაში შეიქმნა პირველი ინსტანციის 24 რაიონული (საქალაქო) სასამართლო 41 მაგისტრატი მოსამართლით.

2013 წლისთვის შეიქმნა 24 გამსხვილებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო (საერთო ჯამში, დაახლოებით 130 მოსამართლის შემადგენლობით),

1. DISTRICT (CITY) COURT, MAGISTRATE JUDGE

One of the main directions of the judiciary reform that started in 2005, was to modernize the trial courts that envisaged precise definition of issues falling under their jurisdiction, and identification of specialization of judges as well. As of today, the structure of trial courts has been set up in a new way: 24 district (city) courts of the first instance staffed with 41 magistrate judges were established within the system.

There were 24 enlarged district (city) courts (staffed with approximately 130 judges in total) established by 2013, where 41 magistrate judges are also working as well. The magistrate court falls under the district (city) court and exercises its judicial power in the administrative-territorial unit where the enlarged district (city) court is not present.

რომელშიც ასევე მუშაობს 41 მაგისტრატი მოსამართლე. მაგისტრატი სასამართლო შედის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს გამსხვილებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

მოდერნიზებული სისტემის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში განხორციელდა მოსამართლეთა სპეციალიზაცია, ანუ სხვადასხვა კატეგორიის საქმეებს იხილავს ამ დისციპლინაში სპეციალიზებული მოსამართლე, რაც უდავოდ ხელს უწყობს საქმეთა უფრო სწრაფად და მაღალკვალიფიციურად განხილვასა და გადაწყვეტას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა საქმეს, განურჩევლად მათი სირთულისა თუ სუბიექტისა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სპეციალიზებული მოსამართლეები განიხილავენ.

The main advantage of the modernized system is that the judges have been specialized at district (city) courts, which means that the cases of various categories are heard by the judge specialized in this particular discipline, which undoubtedly promotes more speedy and higher quality consideration and resolution of cases. It is also important that all the cases, irrespective of their complexity or subject, are heard by the specialized judges of district (city) courts.

	საავტომობილო გზა/Highway	რკინიგზა Railway	მანძილი ახალციხემდე (კმ) Distance to Akhaltsikhe(km)	საჭირო დრო (სთ) Time needed (hour)
ადიგენი Adigeni	✓		29	0:35
ბორჯომი Borjomi	✓	✓	47	0:45
ასპინძა Aspindza	✓		32	0:35

ახალციხის რაიონული სასამართლო
AKHALTSIKHE DISTRICT COURT

I ინსტანციის რაიონული (საქალაქო) და მაგისტრატი სასამართლოები

1. თბილისის საქალაქო სასამართლო
2. ქუთაისის სს
   - ბაღდათის მმ
   - წყალტუბოს მმ
   - ტყიბულის მმ
3. ზესტაფონის რს
   - ხარაგაულის მმ
   - თერჯოლის მმ
4. საჩხერის რს
   - ჭიათურის მმ
5. სამტრედიის რს
   - ვანის მმ
   - ხონის მმ
6. რუსთავის სს
   - გარდაბნის მმ
7. ბოლნისის რს
   - მარნეულის მმ
   - დმანისის მმ
8. გურჯაანის რს
   - ლაგოდეხის მმ
   - ყვარლის მმ
9. თეთრიწყაროს რს
   - წალკის მმ
10. ამბროლაურის რს
    - ონის მმ
11. ცაგერის რს
    - ლენტეხის მმ
12. მცხეთის რს
    - ახალგორის მმ
    - დუშეთის მმ
    - თიანეთის მმ
    - სტეფანწმინდის მმ
13. თელავის რს
    - ახმეტის მმ
14. სიღნაღის რს
    - დედოფლისწყაროს მმ
    - საგარეჯოს მმ
15. ოზურგეთის რს
    - ლანჩხუთის მმ
    - ჩოხატაურის მმ
16. გორის რს
    - კასპის მმ
17. ხაშურის რს
    - ქარელის მმ
18. ფოთის სს
    - ხობის მმ
19. სენაკი რს
    - აბაშის მმ
    - მარტვილის მმ
20. ზუგდიდის რს
    - მესტიის მმ
    - ჩხოროწყუს მმ
    - წალენჯიხის მმ
21. ახალციხის რს
    - ადიგენის მმ
    - ასპინძის მმ
    - ბორჯომის მმ
22. ახალქალაქის რს
    - ნინოწმინდის მმ
23. ბათუმის სს
    - ქობულეთის მმ
24. ხელვაჩაურის რს
    - ხულოს მმ
    - შუახევის მმ
    - ქედის მმ

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რს
გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რს

სს - საქალაქო სასამართლო
რს - რაიონული სასამართლო
მმ - მაგისტრატი მოსამართლე

DISTRICT (CITY) COURT OF THE FIRST INSTANCE AND MAGISTRATE COURTS

1. TBILISI CITY COURT
2. KUTAISI CC
   - Bagdati MJ
   - Tskaltubo MJ
   - Tkibuli MJ
3. ZESTAPONI DC
   - Kharagauli MJ
   - Terjola MJ
4. SACHKHERE DC
   - Chiatura MJ
5. SAMTREDIA DC
   - Vani MJ
   - Khoni MJ
6. RUSTAVI CC
   - Gardabani MJ
7. BOLNISI DC
   - Marneuli MJ
   - Dmanisi MJ
8. GURJAANI DC
   - Lagodekhi MJ
   - Kvareli MJ
9. TETRITSKARO DC
   - Tsalka MJ
10. AMBROLAURI DC
    - Oni MJ
11. TSAGERI DC
    - Lentekhi MJ
12. MTSKHETA DC
    - Akhalgori MJ
    - Dusheti MJ
    - Tianeti MJ
    - Stepantsminda MJ
13. TELAVI DC
    - Akhmeta MJ
14. SIGNAGI DC
    - Dedoplistskaro MJ
    - Sagarejo MJ
15. OZURGETI DC
    - Lanchkhuti MJ
    - Chokhatauri MJ
16. GORI DC
    - Kaspi MJ
17. KHASHURI DC
    - Kareli MJ
18. POTI CC
    - Khobi MJ
19. SENAKI DC
    - Abasha MJ
    - Martvili MJ
20. ZUGDIDI DC
    - Mestia MJ
    - Chkhorotsku MJ
    - Tsalenjikha MJ
21. AKHALTSIKHE DC
    - Adigeni MJ
    - Aspindza MJ
    - Borjomi MJ
22. AKHALKALAKI DC
    - Ninotsminda MJ
23. BATUMI CC
    - Kobuleti MJ
24. KHELVACHAURI DC
    - Khulo MJ
    - Shuakhevi MJ
    - Keda MJ

District courts of Sokhumi and Gagra-Gudauta
District Court of Gali-Gulripshi and Ochamchire-Tkvarcheli

CC – City Court
DC – District Court
MJ – Magistrate Judge



ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
Kutaisi Court of Appeal

2. სააპელაციო სასამართლო

2005 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, იმავე წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა სააპელაციო სასამართლო ინსტანცია, რითაც ძირეულად შეიცვალა არსებული საოლქო სასამართლოების მოდელი საერთო სასამართლოების ერთიან სისტემაში. სააპელაციო სასამართლოში აღარ არსებობს საქმეთა პირველი ინსტანციის წესით განმხილველი კოლეგიები და სასამართლო ყველა საქმეს მხოლოდ აპელაციის წესით განიხილავს. საქართველოში ორი სააპელაციო სასამართლო მოქმედებს – თბილისსა და ქუთაისში. დასავლეთ საქართველოში მოქმედ პირველი ინსტანციის სასამართლოთა (მათ შორის, მაგისტრატ მოსამართლეთა) გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
Tbilisi Court of Appeal



2. COURT OF APPEAL

In accordance with the legislative amendments implemented in the first half of 2005, the instance of the court of appeal has been put into practice since November 1 of the same year, which has completely changed the existing model of regional courts within the unified system of common courts. There are no panels at the courts of appeal for hearing cases by the rule of the first instance any more, and the court hears all the cases only by the rule of appeal. There are two courts of appeal in Georgia – in Tbilisi and in Kutaisi. Appeals regarding the decisions of trial courts (among them those of magistrate judges) from the west Georgia are heard by the Kutaisi Court of Appeal, whereas the judgments of courts of the east Georgia are appealed directly at the Tbilisi Court of Appeal.

3. საკასაციო სასამართლო

2005 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო ჩამოყალიბდა წმინდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოდ. უზენაეს სასამართლოში გაუქმდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებს. შემოღებულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები. უზენაესი სასამართლო, ამ კრიტერიუმთა შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნევს ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნული ცვლილებებით უზენაესი სასამართლო, გახდა მართლაც, დოქტრინალური სასამართლო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სამართლის ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

სასამართლო სისტემის მოქნილი მოდელის შემუშავებისა და საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმების გარდა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, 2007 წლის 5 თებერვალს შეიქმნა სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელმაც, არსებული მდგომარეობისა და ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავა სახელმძღვანელო წინადადებები (ე.წ. guidelines), სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ყველა შესაძლო გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლთან მიმართებით და დეტალურად არის მითითებული, თუ რა სასჯელი უნდა შეუფარდოს მოსამართლემ ამა თუ იმ მუხლით პირის მსჯავრდების დროს, შესაბამისი გარემოების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში. ამასთან, 2006 წლის თებერვალში საფუძველი ჩაეყარა ახალ ინი-

3.COURT OF CASSATION

Since November 1, 2005 the Supreme Court of Georgia has been established as a court of a pure cassation instance. The Panel for Criminal Cases was cancelled at the Supreme Court, which used to hear the cases of extremely grave category by the rule of the first instance. The criteria for admissibility of cassation claims have been introduced. The Supreme Court considers admissibility of cases in accordance with these criteria and accepts only those ones, which are significant for the development of law and contribute to the establishment of common judicial practice. The above-mentioned changes have in fact turned the Supreme Court into a doctrinal court, one of the most basic functions of which is to interpret judicial norms and to establish a common judiciary practice.

Other than the establishment of a flexible model of the judiciary and the admissibility criteria for cassation claims, with the purpose of establishing a common judiciary practice and with the initiative of the Supreme Court of Georgia, a standing commission was formed on February 5, 2007 aimed at setting the guidelines for judges of common courts, and at studying and generalizing the criminal judiciary practice. Having considered the current situation and experience of the countries of traditional democracy, the commission has developed the guidelines which envisage all the possible circumstances in reference to the particular article of the Criminal Code as much as possible, and detailed reference is provided about what punishment the judge should impose while sentencing a person under this or that article in case of existence or absence of relevant circumstances. Besides, in February 2006, grounds were laid for a new initiative, which implies arrangement of regular meetings of judges of all the instances at the Supreme Court of Georgia. These meetings aim at discussing and analyzing important issues of the judiciary practice, also consolidating the different opinions of judges of various instances and establishing a common understanding of the norms

ციატივას, რაც გულისხმობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ყველა ინსტანციის მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრების მიზანია სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ანალიზი, სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება და დისკუსიის შედეგად სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართლის ნორმათა ერთგვაროვანი გაგების ჩამოყალიბება, რაც წერილობით, რეკომენდაციების სახით ეგზავნება ყველა მოსამართლეს.

დღევანდელი მონაცემებით, სახელმძღვანელო წინადადებებსა და რეკომენდაციებს აქტიურად იყენებენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები.

აღნიშნული სახის ინიციატივები და ახალი სასამართლო სისტემის მოდელი დიდ გავლენას ახდენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, სისტემის ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ინტენსიურმა დანერგვამ ხელი შეუწყო სასამართლოებში საქმეთა დროულ განხილვასა და გადაწყვეტას. აღმოიფხვრა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა წლობით განხილვის პრაქტიკა და შედეგიც აშკარაა:

საქმეთა განხილვის საშუალო ვადები
AVERAGE TERMS OF CASE HEARING

დამთავრებული სამოქალაქო საქმეების განხილვის საერთო ვადები სამივე ინსტანციის სასამართლოში

OVERALL HEARING TIME FOR THE FINISHED CIVIL CASES AT COURTS OF ALL THE THREE INSTANCES



დამთავრებული სისხლის სამართლის საქმეების განხილვის საერთო ვადები სამივე ინსტანციის სასამართლოში

OVERALL HEARING TIME FOR THE FINISHED CRIMINAL CASES AT COURTS OF ALL THE THREE INSTANCES



დამთავრებული ადმინისტრაციული საქმეების განხილვის საერთო ვადები სამივე ინსტანციის სასამართლოში

OVERALL HEARING TIME FOR THE FINISHED ADMINISTRATIVE CASES AT COURTS OF ALL THE THREE INSTANCES



თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციული დემოკრატიის მქონე მრავალ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს რაიმე შეზღუდვა სასამართლოში საქმის განხილვის ზუსტ ვადებთან დაკავშირებით და კონკრეტული საქმის განხილვა ერთ ინსტანციაში შეიძლება წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდეს, საქართველოს სასამართლო სისტემას საუკეთესო შედეგი აქვს. შესაბამისად, ახალი სისტემა ხელს უწყობს საქართველოში საქმის განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვას, რაც გვაძლევს უმნიშვნელოვანეს შედეგს: სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას.

of the criminal, civil or administrative law, which is sent to all the judges in writing, as recommendations.

As of today, the guidelines and recommendations are actively used by the judges of the common courts of Georgia.

These initiatives and a model of the new judiciary system greatly influence the administration of quick and effective justice. As expected, institutional changes of the system and intensive introduction of the common judiciary practice supported the timely hearing of cases and their resolution at courts. The practice of hearing the cases for years has already been eradicated at the courts of various instances and the result is evident:

Considering that in many countries of traditional democracy there are no limitations regarding the exact timeframes for case hearing at courts at all and consideration of one certain case can be protracted for more than a year at one instance, performance of the judiciary system of Georgia is outstanding indeed. Correspondingly, the new system supports observing the statutory timeframes for case hearing in Georgia, which brings us a significant outcome: quick and effective justice.

II. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაცია მასში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდისა და, საერთოდ, მოსამართლეთა „ხმის“ გაძლიერების მიზნით, ფაქტობრივად დასრულებულია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აღარ წარმოადგენს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს. იგი ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემის მართვის დამოუკიდებელ ორგანოდ. სასამართლო ხელისუფლებაში შემავალი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებების მქონე ამ ორგანოს კომპეტენციაში შედის: სასამართლო ბიუჯეტის შედგენა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მისი კონტროლი, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა, თანამდებობიდან განთავისუფლება, გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეთა წახალისების შესახებ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება მოსამართლეების მიმართ, სასამართლოს მოხელეთა სამსახურში მიღება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაარსებიდან, მოსამართლეები ყოველთვის უმცი-

II. HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

One of the priorities of the reform, which aimed at reorganizing the High Council of Justice through increasing the number of judges and, in general, strengthening the “voices” of judges, is in fact completed. The High Council of Justice, chaired by the Chief Justice of the Supreme Court, does no longer represent the President’s advisory body and it has been established as an independent body in charge of management of the judiciary system. This is the body of greatest authority within the judicial power, and its competencies include: to draw up the judiciary budget, provide with and control the material and technical resources, appoint and dismiss judges, make decisions about incentives for judges, initiate disciplinary proceedings against judges, employ court personnel, etc.



რესობაში იყვნენ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესი რამდენჯერმე შეიცვალა, 2006 წელს კი საბჭოში მოსამართლეთა უმრავლესობის პრინციპი კონსტიტუციის 86[1]-ე მუხლით განისაზღვრა.

დღეის მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრება, რომელთაგან 9 მოქმედი მოსამართლეა. ამ მოსამართლეებს (გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეა), საბჭოს წევრებად (მათ შორის, საბჭოს მდივანსაც) ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. შესაბამისად, მოსამართლეები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობაში არიან და ნებისმიერი საკითხის განხილვისას მათი პოზიცია გადამწყვეტია. 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო რეალურად იქცა სასამართლო სისტემის და თითოეული კონკრეტული მოსამართლის ინტერესების გამტარებელ დამოუკიდებელ ორგანოდ, რომლის საქმიანობა მიმართულია სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განვითარებისკენ.

It is noteworthy that the judges have always been the minority since the establishment of the High Council of Justice. The regulation on forming the High Council of Justice has changed several times, and in 2006 the principle of majority of judges at the Council was established under the Article 86[1] of the Constitution.

As of today the High Council of Justice is comprised of 15 members, 9 of whom are sitting judges. These judges (except the Chief Justice of the Supreme Court, who is a Chairman of the Council) are elected council members (among them the Council Secretary too) by the Conference of Judges of Georgia. Correspondingly, the judges represent the majority within the High Council of Justice and their position is decisive for addressing any issue. 5 members are elected by the Parliament of Georgia, and 1 member is appointed by the President of Georgia.

In fact, the High Council of Justice of Georgia has really become an independent body addressing the interests of the judiciary system and those of each individual judge. Its activities are focused on strengthening the judiciary independence, and at developing the quick and effective justice.

III. კადრების შერჩევა, მათი მომზადება და გადამზადება, იუსტიციის უმაღლესი სკოლა

სასამართლო რეფორმის შემადგენელი ყველა კომპონენტის წარმატებით განხორციელებაც კი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუკი არ იქნა მიღწეული ყველაზე მთავარი – სისტემის დაკომპლექტება მიუკერძოებელი, პატიოსანი და, რაც მთავარია, კვალიფიციური კადრებით. რეფორმის ამ ქვაკუთხედში ორი ეტაპი გამოირჩევა:

1. რეფორმის მიმდინარეობისას მოსამართლეთა შერჩევა არსებული მოდელის ფარგლებში ხდებოდა განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით, მკაფიოდ დადგენილი კრიტერიუმების, კერძოდ, პრეტენდენტის პიროვნული მახასიათებლების, რეპუტაციის, კვალიფიკაციისა და ანალიტიკური აზროვნების საფუძველზე. აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, 2005 წლიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით თანამდებობაზე დაინიშნა 186 ახალი მოსამართლე.

2. მოსამართლეთა შერჩევისა და მომზადების ახალ სისტემაში, რომელიც 2007 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა, იუსტიციის უმაღლეს სკოლას უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება – იგი ახორციელებს იუსტიციის მსმენელთა (მოსამართლეობის კანდიდატთა) მომზადებასა და მოქმედი მოსამართლეების გადამზადებას. ასევე, უზრუნველყოფს მოსამართლის თანაშემწეობის კანდიდატის და საერთო სასამართლოების სისტემის სხვა მოსამსახურეების მომზადება-გადამზადებას.

2013 წლის მაისში განხორციელებული ცვლილებებით იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად დამოუკიდებელი საბჭოს წევრია, თავისი წევრებისგან 3 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ერთი და იგივე პირი დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

III. SELECTION OF HUMAN RESOURCES, THEIR DEVELOPMENT AND TRAINING, HIGH SCHOOL OF JUSTICE

Even the successful implementation of all the components of the judiciary reform will not give us a desired result unless the most important thing is achieved: staffing the system with impartial, honest, and, most importantly, qualified human resources. Two stages stand out of this reform cornerstone:

1. Within the frameworks of the existing model, judges were selected during the reform with exceptional attention and responsibility, based on the strictly defined criteria, namely, the candidate's personal characteristic features, reputation, qualification and analytical thinking. Considering these criteria, there were 186 new judges appointed from 2005 to May 2014.

2. Within the new system of selecting and developing the judges, which has become effective since October 2007 there is a vital role assigned to the High School of Justice – to prepare trainees of justice (candidate judges) and retraining of sitting judges. In addition to that, it also trains and retrains the candidate assistant to judges, and other employees of the common court system.

With the amendments passed in May 2013, chairperson of the independent board of the High School of Justice, who at the same time is a member of the independent board, is elected by Conference of Judges of Georgia from its members for the term of 3 years. One and the same person can be elected the chairperson of the independent board consecutively only twice.

5 members of the independent board, where 1 individual is a non-judge member of the High Council of Justice of Georgia, are approved by the High Council of Justice of Georgia, upon submission of the chairperson of the independent board, for the term of 3 years. The Chief Justice

დამოუკიდებელი საბჭოს 5 წევრს, რომელთაგან 1 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრია, 3 წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნითა და ამოქმედებით ფაქტობრივად მოგვარდა სასამართლო რეფორმით გათვალისწინებული ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი:

1. შეიქმნა მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ახალი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს კანდიდატის ჩარიცხვას სკოლის მსმენელად და მის სრულყოფილ მომზადებას 10 თვის განმავლობაში. ევროპის საბჭოს ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა მსმენელთა სასწავლო პროგრამა. ჩატარდა რამდენიმე სპეციალური სემინარი სკოლის ლექტორებისათვის, განისაზღვრა სწავლების მეთოდიკა.

2007 წლიდან 2014 წლის მარტის ჩათვლით სკოლაში ჩაირიცხა 100 მსმენელი, რომელთაგან 59 უკვე მოქმედი მოსამართლეა.

აღნიშნული სისტემის მთავარი დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ კანდიდატები თანამდებობაზე გამწესებამდე ემზადებიან როგორც თეორიული კუთხით, ისე ითვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც ამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს უწყობს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას.

2. შემუშავდა და ამოქმედდა მოსამართლეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის აუცილებელი სპეციალური პროგრამა, რაც, თავის მხრივ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კიდევ ერთი გარანტიაა. ეს არის სკოლის ერთ-ერთი ფუნქცია, რაც ითვალისწინებს წინასწარ, წლის დასაწყისში დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით მოსამართლეთათვის გადამზადების კურსების ჩატარებას. თითოეული მოსამართლე წლის განმავლობაში, სულ მცირე, ორჯერ მაინც გადის ამ კურსს, სადაც სპეციალური მეთოდებით (კანონმდებლობის ანალიზი, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განხილვა, კონკრეტული კაზუსების საფუძველზე პრობლემის შესწავლა და ა.შ.) მათ მიეწოდებათ სპეციალისტების მიერ მომზადებული მასალა.

მოსამართლეთა და სასამართლოს მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში 2006-2013 წლებში სულ ჩატარდა 445 სემინარი. საერთო ჯამში გადამზადების პროგრამების თითო სემინარს საშუალოდ ესწრებოდა 18 მონაწილე.

of the Supreme Court of Georgia cannot be a member of the Independent Board.

By creating and activating the High School of Justice, in fact two very important issues envisaged in the judiciary reform were resolved:

1. A new model for selection and appointment of judges was developed, which envisages enrolment of a candidate as a trainee in the school and his/her full training during 10 months. Training program for the students was developed with the involvement of EC experts. Several special seminars were held for lecturers of the school, and the teaching methodology was elaborated.

From 2007 to March 2014 there were 100 students enrolled in the High School of Justice and among of them, 59 judges are already the sitting judges.

Main advantage of this system is that the candidates are preparing before their appointment not only in theory, but they also acquire practical skills, which enhances their qualification and supports improvement of the quality of justice.

2. A special program was developed and launched, which is necessary for the training the judges and for upgrading their qualification, which from its side is another safeguard for the independence and impartiality of judges. This is one of the functions of the school, which envisages provision of training courses to judges in accordance with the schedule set up in the beginning of the year. Every judge attends this course at least twice a year, where they are provided with the

2007 წლიდან ცენტრალური ოფისის გარდა (თბილისი), მოწესრიგდა სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრები ბათუმსა და წყალტუბოში. აღნიშნულ ცენტრებში მუდმივად იმართება სემინარები როგორც მოქმედი მოსამართლეებისათვის, ისე იუსტიციის სკოლის მსმენელთათვის.

2007-2011 წლებში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის შემუშავდა სპეციალური სასწავლო კურსები დარბაზის მართვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოსამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის ასამაღლებლად.

2014 წლის 15 მაისს თბილისში სასამართლო რეფორმის ფარგლებში გაიხსნა „მართლმსაჯულების სახლი“. თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილი და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი შენობა თავისი მასშტაბით სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრენინგ-ცენტრია, სადაც იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მომზადება, მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების ტრენინგები, მედიაციის პროცესების წარმართვა განხორციელდება, ჩატარდება კონფერენციები და სემინარები. სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ უწყებებს საშუალება ექნებათ ასევე, ისარგებლონ „მართლმსაჯულების სახლის“ სერვისებით.

materials developed by the specialists based on special methodology (legislation analysis, review of the practice of the Supreme Court, problem discussion based on specific case studies, etc.).

There were in total 445 seminars held in 2006-2013 within the frameworks of the training program for building the capacity of judges and court officers. On average, 18 participants attended each seminar of training programs.

Other than the central office (Tbilisi), the regional training centers have been opened in Batumi and Tskaltubo since 2007. These centers regularly provide seminars for the sitting judges, also for the trainees of justice as well.

There were special training courses developed for the trainees of the High School of Justice within 2007-2011 on the following topics: courtroom management, juvenile justice, media and public relations, and communication standards, which are especially important for upgrading the quality of judicial skills.

The “House of Justice” was opened in Tbilisi, within the framework of Judiciary reform. The “House of Justice” is one of the largest training center in the South Caucasus, which is a well-furnished and equipped with modern technology, where the listeners of High School of Justice will have the trainings, the trainings of judges and judicial officials will be held, the mediation processes, the conferences and the seminars can be held on a regional scale. Court-related agencies will be also able to benefit from the “House of Justice” service.

IV. სასამართლო სისტემის ბიუჯეტი

სასამართლოს რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა რეფორმის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, სწორედ მისი ფინანსური დამოუკიდებლობა უნდა იქნეს გარანტირებული.

სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 2006 წელს თითქმის 20 მილიონი ლარით გაიზარდა, რის შედეგადაც მკვეთრად მოიმატა მოსამართლეთა ხელფასებმა, სასამართლოებში გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, შეიქმნა ერთიანი კომპიუტერული ქსელი, დაინერგა, გადახალისდა და ევროპულ სტანდარტებამდე ავიდა სამართალწარმოების ელექტრონული სისტემები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

2014 წელს სასამართლო სისტემის ბიუჯეტი კიდევ 15 მილიონი ლარით გაიზარდა და 56 535 000 ლარი შეადგინა, რის საფუძველზეც დღეისათვის მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგო I ინსტანციის სასამართლოებში 4000 ლარია, სააპელაციო სასამართლოებში – 5000 ლარი, ხოლო უზენაეს სასამართლოში – 6000 ლარი.

სასამართლოების გაზრდილი ბიუჯეტი კიდევ უფრო მეტ გარანტიას ქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და მთლიანად სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

სასამართლო სისტემა უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას საბიუჯეტო ხარჯების შესახებ (www.supremecourt.ge).

IV. BUDGET OF THE JUDICIARY

Securing financial and material resources for the reform is one of the most important preconditions for implementing the judiciary reform. For ensuring the independence of judiciary power, first of all its financial independence should be guaranteed.

With this purpose, the budget of judiciary increased by about 20 million GEL in 2006, after which the salaries of judges were increased dramatically, working conditions were improved at courts, a VPN was set up, and electronic case management systems were introduced, upgraded and raised to the European standards, also, material and technical resources were increased.

The judiciary budget increased again in 2014 by 15 million GEL and totaled 56,535,000 GEL, based on which currently the salaries equal to 4,000 GEL at trial courts, 5,000 GEL at the courts of appeal and 6,000 GEL at the Supreme Court.

Increased budget of courts provides even more safeguard for the independence and impartiality of judges, also for the smooth functioning of the judiciary system as a whole.

For ensuring more transparency, the judiciary system provides open access for the public to information on budgetary expenses every year (www.supremecourt.ge).

საქართველოს სასამ

JUDICIARY SYSTEM



- **უზენაესი, სააპელაციო სასამართლო**
  Supreme Court of Georgia, Court of Appeal
- **რაიონული (საქალაქო) სასამართლო**
  District (City) Court
- **მაგისტრატი მოსამართლე**
  Magistrate Judge
- **საავტომობილო გზა**
  Highway
- **ავტომაგისტრალი**
  Automagistral

ართლო სისტემა
OF GEORGIA




ბორი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ამბროლაური
ონი
ცაგერი
ლაგოდეხი
ბოლნისი
თეთრიწყარო
ბაღდათი
ვანი
ზესტაფონი
ქუთაისი
ჭიათურა
სენაკი
ფოთი
ხობი
ანაკლია
ზუგდიდი
ოჩამჩირე
გალი
ტყიბული
ცხინვალი
ყაზბეგი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბორჯომი
ხაშური
სიღნაღი
დედოფლისწყაროა
ბოლნისი
მარტვილი
ფოთი
ანაკლია
ზესტაფონი
ბაღდათი
ვანი
ქუთაისი
ჭიათურა
სენაკი
ხობი
ზუგდიდი
ოჩამჩირე
გალი
ტყიბული
ცხინვალი
ყაზბეგი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბორჯომი
ხაშური
ბორი
ზესტაფონი
ქუთაისი
ჭიათურა
ფოთი
ანაკლია
ზუგდიდი
ოჩამჩირე

საერთო სასამართლოების 2003-2014 წლების საბიუჯეტო სახსრები (თანხა მილიონ ლარებში)

Budgetary Resources of Common Courts during 2003-2014



უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტი და მოსამართლეთა საშუალო თვიური ხელფასი 1998-2014 წლებში

Budget of the Supreme Court and Average Monthle Salaries of Judges (1998-2014)



V. სასამართლო შენობების რეაბილიტაცია და აღჭურვა

მოსამართლისთვის ტექნიკური და მატერიალური პირობების შექმნის, მართლმსაჯულების შეუფერხებლად და ოპერატიულად განხორციელების მიზნით, 2006 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სასამართლო შენობათა ინტენსიური რეკონსტრუქცია, მოსამართლეთა და მათი დამხმარე პერსონალისათვის მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა-გაუმჯობესება. ამ მიმართულებით განხორციელებული ინტენსიური სამუშაოების შედეგად 2006-2011 წლებში დასრულდა 64 სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია.

2013 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქალაქეთა მომსახურების ახალი ცენტრი გაიხსნა. იგი უახლესი ტექნიკური საშუალებებით არის აღჭურვილი და უზრუნველყოფს სასამართლოში საქმის მიღებისა და რეგისტრაციის პროცედურების მაქსიმალურ სიმარტივეს და მოქალაქეთათვის კომფორტულ გარემოს.

გარდა ამისა, ყველა რეკონსტრუირებულ სასამართლოში სხდომის დარბაზები აღიჭურვა კომპიუტერებით, დამონტაჟდა ხმის გამაძლიერებლები და მიკროფონები, ასევე სპეციალური აპარატურა, რითაც ხდება სასამართლო სხდომების აუდიოჩაწერა. მთლიანად გარემონტდა მოსამართლეთა და აპარატის მუშაკთა სამუშაო ოთახები და თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია კომპიუტერით.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით და ნაწილობრივ საკუთარი რესურსებით შეიქმნა სასამართლო სისტემის ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რაც საბოლოოდ მოხსნის დღეისათვის სასამართლო სისტემაში არსებულ ტექნიკურ პრობლემებს და ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

V. REHABILITATION AND EQUIPMENT OF COURTHOUSES

With the purpose of creating technical and material conditions for judges and ensuring an unimpeded and speedy administration of justice, intensive reconstruction of courthouses, creation-improvement of material and technical conditions for judges and their support personnel have been going on throughout the country since 2006. As the result of these intensive works implemented in this direction, reconstruction of 64 courthouses was completed in 2006-2011.

There was a new Citizen Service Center opened at the Tbilisi City Court on December 23, 2013. It is equipped with up-to-date technical facilities and ensures maximized easiness of case admission and registration procedures at the court, and creates a comfortable environment to the citizens.

Besides, courtrooms in all the reconstructed courthouses were equipped with computers, and sound amplifiers, microphones and special equipment were installed for audio recording of court sessions. Offices of judges and the staff members have completely been repaired and each of them was provided with a computer.

With the financial support of the United States Agency for International Development (USAID), German Society for International Cooperation (GIZ) and the United Nations Development Program (UNDP) and partly by its own resources, the integrated virtual private network (VPN) was created for the judiciary, which will finally solve current problems within the judiciary system and also will support the quick administration of justice.

ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნით:

- უპირველეს ყოვლისა, მოგვარდა მოსამართლეთა ახალი ინფორმაციით (საკანონმდებლო ცვლილებების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ) უზრუნველყოფის საკითხი;
- თითოეულ მოსამართლეს საშუალება აქვს გაეცნოს ერთგვაროვანი პრაქტიკის განმსაზღვრელ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა პროგრამას, რაც ხელს უწყობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვასა და დაინტერესებული საზოგადოების მიერ ამ გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ გაცნობის შესაძლებლობას;
- ყველა გაერთიანებულ სასამართლოში დაინერგა ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ საპროცესო, ორგანიზაციული თუ სამეურნეო ხასიათის კორესპონდენციების მიმოქცევას;
- გაიზარდა სასამართლოთა თვითკონტროლი – იგულისხმება საპროცესო ვადებისა და საქმისწარმოების წესის დარღვევის ავტომატური კონტროლი;
- განხორციელდა სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის ოპერატიული დამუშავება;
- უზრუნველყოფილია ინფორმაციის საჯაროობა, რაც გამოიხატება გადაწყვეტილებების, სხდომათა განრიგებისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ქსელში განთავსებით, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისათვის.

საქმეთა განხილვის დაჩქარების, სხდომების შესახებ ინფორმაციის სიზუსტისა და საჯაროობის ამაღლების მიზნით, საქართველოს ყველა სასამართლოში გათვალისწინებულია სასამართლო პროცესის ტექნიკური ფიქსაციის სპეციალური სისტემის დანერგვა. ამ სისტემის მეშვეობით სინქრონულად, ციფრულ ფორმატში, იწერება სხდომის მიმდინარეობა, ხოლო სხდომის დამთავრებისთანავე ხდება

By creating the VPN:

- First of all, the issue of providing new information (concerning the legislative amendments, sublegislative normative acts and judgments of the Supreme Court) to the judges has been resolved;
- Every judge gets familiar with the program of Supreme Court judgments, which determines the uniform practice and supports the introduction of a uniform judicial practice, also provides possibility for the interested public to get familiar with these judgments promptly;
- Integral electronic systems of document circulation and that of case management have been introduced at all the unified courts, which ensure exchange of procedural, organizational or administrative correspondence;
- Self-control of courts has been enhanced – which means the automatic control in case of violation of procedural terms and rules of case proceedings;
- Effective processing of statistical and analytical information has been introduced;
- Publicity of information is ensured, which is reflected by posting the judgments, session schedules and information about the case development in the network, which is accessible for any interested citizen.

With the purpose of speeding up the case hearing and enhancing the accuracy and publicity of information about the sessions, introduction of special system for technical fixing of trial is envisaged at all the courts of Georgia. This system will provide possibility for simultaneous and digital recording of the case process, and



სასამართლო პროცესის ჩაწერა კომპაქტ-დისკზე და სხდომის მოკლე ოქმის ამობეჭდვა, რომელიც დაერთვის საქმეს. სხდომის აუდიოჩანაწერი შეიძლება წაკითხულ იქნეს ნებისმიერ მულტიმედიურ კომპიუტერზე. აღნიშნული სისტემა უკვე მოქმედებს მთელს სასამართლო სისტემაში.

რეფორმის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ევროპული სტანდარტების დონის სასამართლოები, თანამედროვე შენობა-ნაგებობებითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით, რაც მოსამართლისათვის მუშაობის საუკეთესო პირობებს ქმნის. ასეთი ტიპის სასამართლოები საზოგადოების მხრიდან პატივისცემას და ნდობას იმსახურებენ.

as soon as the session is over, the trial is burnt on the CD and a brief session report is printed out, which is attached to the case. The trial transcript can be read by any multimedia computer. This system has already been activated throughout the whole judiciary system.

It is possible to say that as the result of the reform, courts of European standards were established in Georgia, with modern building-constructions and up-to-date technical equipment, which provides best working conditions to judges. Such courts deserve respect and confidence from public.

თბილისი / Tbilisi

ბათუმი / Batumi

ბოლნისი / Bolnisi

ბათუმი / Batumi

ბოლნისი / Bolnisi

მცხეთა / Mtskheta

ფოთი / Poti

რუსთავი / Rustavi

რუსთავი / Rustavi

ქუთაისი / Kutaisi

ქუთაისი / Kutaisi

სენაკი / Senaki

სენაკი / Senaki

სამტრედია / Samtredia

სამტრედია / Samtredia

სიღნაღი / Signagi

წყალტუბო / Tskaltubo

წყალტუბო / Tskaltubo

VI. წესრიგის დაცვა სასამართლოში

მრავალი სახელმწიფოს გამოცდილების შესაბამისად, 2006 წლის იანვრიდან პირველად საქართველოს ისტორიაში სასამართლო სისტემაში ამოქმედდა მანდატურის ინსტიტუტი. მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლისა და პროცესის მონაწილეების უსაფრთხოებას, იცავს წესრიგს სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზებში.

დღეს მანდატურის სამსახური მოქმედებს სამივე ინსტანციის ყველა სასამართლოში.

VI. KEEPING ORDER AT THE COURT

Considering the experience of many countries, the institute of court marshals (Mandaturi Service) was introduced within the judiciary for the first time in the history of Georgia since January 2006. A court marshal ensures security of a judge and trial participants, keeps order at the courthouse and in the courtrooms.

Today the court marshal service is functioning at all the courts of all the three instances.

VII. სასამართლოს მენეჯერის ინსტიტუტის განვითარება

სასამართლო რეფორმის თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოში ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სისტემის დახვეწას.

სასამართლოების მართვა სპეციალურ მენეჯერულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. სწორედ ამ ტენდენციას უკავშირდება სასამართლოს მენეჯერის ინსტიტუტის შემოღება საერთო სასამართლოებში. ერთი მხრივ იგი საშუალებას აძლევს მოსამართლეს, რომ უფრო მეტი დრო დაუთმოს საქმეთა გადაწყვეტას, ხოლო, მეორე მხრივ, ყურადღებას აქცევს რესურსის ეფექტურ გამოყენებას და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

2010 წლის აგვისტომდე საქართველოს სასამართლოებში მსგავს თანამდებობას აპარატის უფროსის თანამდებობა წარმოადგენდა, რომლის პროფესიული მომზადება და/ან ფუნქციური დატვირთვა ამ ინსტიტუტის სრული მოცულობით ამოქმედების საშუალებას არ იძლეოდა.

2010 წლის აგვისტოში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით სასამართლოში შემოღებულ იქნა სასამართლოს მენეჯერის თანამდებობა, ხოლო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დაინერგა სასამართლოს მენეჯერის მრავალპროფილიანი სასწავლო კურსი.

სამომავლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო გეგმავს, სასამართლოს მენეჯერის კურსი სავალდებულო გახადოს სასამართლო აპარატის ყველა თანამშრომლისთვის, რომელსაც მენეჯერული ფუნქციების განხორციელება ევალება.

VII. DEVELOPMENT OF THE COURT MANAGER INSTITUTE

At the current stage of the judiciary reform, special importance is assigned to the improvement of administration and management system at the court.

Court management requires a specialized managerial knowledge and experience. This is the trend to which the introduction of the institute of a court manager at common courts is connected to. It enables a judge to allocate more time to case consideration, and on the other hand, it lays emphasis on efficient allocation of resources and enhancement of service quality.

Until August 2010, there was a similar position – a head of staff at the courts of Georgia, though its professional development and/or functional implication did not provide possibility for activating this institute at full capacity.

With the amendments made to the organic law of Georgia on Common Courts in August 2010, a position of a court manager was introduced at the court, and a multiprofile training course for court managers was initiated at the High School of Justice.

For the future, the High Council of Justice is planning to make a court manager course mandatory for all the employees within the court staff who are in charge of performing the managerial functions.

VIII. საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა

ოქალაქისათვის სასამართლოს ობიექტურ გადაწყვეტილებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა ერთ ბიუროკრატიულ წრედ იყო ქცეული, რომელიც უამრავ ჟურნალში იკარგებოდა. უმეტეს შემთხვევაში, ამას თან ახლდა გარკვეული გაუგებრობები. მოქალაქე ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა, რის გამოც უამრავ დროს, ენერგიასა და ნერვებს ხარჯავდა. სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდეგ ეს პრობლემაც საბოლოოდ მოგვარდა.

2012 წლიდან პროგრამა მოქმედებს საქართველოს I ინსტანციის ყველა გაერთიანებულ სასამართლოში, 2014 წელს კი სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებიც ამ პროგრამით იწყებენ მუშაობას, რითაც საბოლოოდ ქართული მართლმსაჯულება ერთ მთლიან ქსელშია ჩართული.

მართლმსაჯულების საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადაყვანა ერთნაირად სასარგებლოა როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე პროცესში მონაწილე სხვა პირებისა და მოქალაქეებისთვის. ახალი სისტემით ზემოთ მითითებული საჟურნალო სისტემა საერთოდ უქმდება, სასამართლოში შესული განცხადება პირდაპირ რეგისტრირდება პროგრამის სპეციალურ გრაფაში, სადაც ავტომატურად ინიშნება შეტანის თარიღი, ეძლევა სპეციალური კოდი და ა.შ. პარალელურად საქმე განთავსდება ვებ-გვერდზე – info.court.ge, რაც იმას ნიშნავს, რომ ამავე დღიდან მოქალაქეს შეუძლია, ნებისმიერ დროს აკრიფოს პაროლი და გააკონტროლოს საკუთარი საქმის მიმდინარეობა. ყველა მოქმედება, რომელიც ამ საქმეზე განხორციელდება, მაგალითად, რომელ მოსამართლეს დაეწერა იგი, რა შენიშვნა შეიტანა, როგორი განაჩენი ან განჩინება გამოიტანა, ავტომატურად აისახება ვებ-გვერდზე.

VIII. CASE MANAGEMENT SOFTWARE

Not only the impartial court judgment, but also the fast and accessible justice is important for a citizen. For years, the judiciary system has been turned into a bureaucratic circle, which would be lost in many registries. In many cases there were misunderstandings, because of which the citizen had to find out what happened to his application with the personnel of various units of the courts, which took away much of their time, energy and nerves. Introduction of the case management software has finally resolved this problem.

The software has been operational at all the unified trial courts of Georgia since 2012, and the courts of appeal and the Supreme Court will start using this software in 2014 as well, and this way the Georgian justice is finally connected to a common network.

Shifting to the electronic system of judicial case management is equally beneficial for the judges, other parties of the trial and ordinary citizens as well. With this new development, the above mentioned registry-based system is cancelled, and the application filed to the court is directly registered in the special field of the software, where the date of filing is automatically inputted, special code is assigned, etc. Simultaneously, the case is linked to the web-page info.court.ge, which means that from the same day a citizen can use his password any time and control the progress of his case. All the activities that are carried out in connection to this case, e.g.: which judge the case has been assigned to, what remarks the judge has made, what judgment or ruling has been passed, and all these things will automatically be reflected in the web-page. One of the biggest achievements of the system is that the technical part of case proceeding, which consumed 70-80 % of the judge's labor, is provided as a

სისტემის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება ის, რომ საქმის წარმოების ტექნიკური ნაწილი, რომელსაც მოსამართლის შრომის 70-80% ეთმობოდა, პროგრამაში შაბლონური ფორმით არის მოცემული და მოსამართლეს მხოლოდ ინტელექტუალურ ნაწილზე უხდება მუშაობა.

სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში არა მარტო მოსამართლეებისა და საქმეში მონაწილე მხარეების ინტერესებია გათვალისწინებული, არამედ იმ ადამიანებისაც, ვინც სასამართლოს საქმიანობით არის დაინტერესებული.

template in the software, and the judge only has to work for the intellectual part.

Electronic case management system at court addresses the interests of not only the judges and trial participants, but also the people who are interested in the court activities.

IX. ელექტრონული პროგრამები

ელექტრონული მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, 2011 წელს ამოქმედდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა, რომელიც შეიქმნა უზენაესი სასამართლოსა და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) თანამშრომლობით. პროგრამა ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, სწრაფად და მარტივად მოიძიოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. პროგრამაში თავმოყრილია 2000 წლიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მიღებული 40727 გადაწყვეტილება, რომლებიც მოცემულია დაშტრიხული ფორმით ანუ პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, განათლება, სამუშაო ადგილი, პროფესია და სხვ.) გარეშე.

2011 წლის ოქტომბერში ასევე ამოქმედდა უზენაესი სასამართლოს არქივის ელექტრონული პროგრამა, რომელიც მოიცავს 1965-2005 წლებში უზენაესი სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მიღებულ 3894 გადაწყვეტილებას. შესაბამისი საძიებო სისტემით სარგებლობა დარეგისტრირების შემდეგ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. დასარეგისტრირებლად საჭიროა სახელის, გვარისა და პირადობის მოწმობის პირადი ნომრის, ასევე ელ. ფოსტის მითითება.

მოთხოვნის შემთხვევაში, პროგრამა დაშტრიხული სახით – პერსონალური მონაცემების გარეშე – მიაწვდის მოქალაქეს სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებას.

პროგრამა მნიშვნელოვანია არა მარტო მათთვის, ვინც უშუალოდ არის დაინტერესებული კონკრეტული გადაწყვეტილებებით, არამედ იურისტების იმ ნაწილისთვისაც, ვინც სამეცნიერო საქმიანობით არის დაკავებული.

IX. SOFTWARE

Within the frameworks of the e-justice reform, the search engine was activated for the judgments of the Supreme Court of Georgia in 2011. This software was developed under the cooperation between the Supreme Court and the Norwegian Mission of Rule of Law Advisers to Georgia (NORLAG). The software enables all the interested individuals to look for the judgments of the Supreme Court quickly and easily. The software has a collection of judgments of criminal, civil and administrative cases since 2000 until the current period, inclusive. The cases are in a shaded format, which means that the judgments are provided without personal data (name, surname, age, address, education, workplace, profession, etc.).

There was also the Archives Software activated at the Supreme Court in October 2011, which has a collection of 3,894 judgments passed by the Investiga-

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადდა ორი მნიშვნელოვანი ელექტრონული პროგრამა:

• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მოიძიონ ქართულ ენაზე თარგმნილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები. ამ ეტაპზე 400-მდე საქმეა თარგმნილი. უზენაეს სასამართლოში არსებულ ადამიანის უფლებათა ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობს სხვა საქმეების თარგმნა. პროექტის მიზანია, მოსამართლეთა და მხარეთა მიერ საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების სიხშირის გაზრდა.

tion Panel of the Supreme Court during 1965-2005. Any interested individual can use the search engine after registration. Name, surname and personal ID card number, also an e-mail address should be indicated for completing the registration.

In case of inquiry, the software will provide the desirable court judgment to the citizen in a shaded form – without personal data.

The software is important not only for those who are directly interested in a particular judgment, but also for that part of lawyers who are pursuing their legal research activities.

Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia has launched two important electronic applications:

• ECHR search program, where all the interested persons can find Georgian translation of the decisions delivered by the European Court of Human Rights. At the moment about 400 decisions are translated and the other decisions will be also translated. The aim of this project is to in-



• საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებისა და აქტების კატალოგის მიზანია, გაზარდოს საქართველოს სასამართლოებში მოსამართლეებისა და მხარეების მიერ საერთაშორისო აქტების გამოყენების სიხშირე. მოსამართლეებს, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ პირებს, უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ექნებათ საშუალება, იხილონ თემატურად დალაგებული საერთაშორისო სამართლის აქტები, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. აქტების კატალოგი მოიცავს ძირითად უფლებებთან, სისხლის სამართალთან, ქალთა და ბავშვთა უფლებებთან, გარემოს დაცვასთან, ეკონომიკურ და კულტურულ სამართალთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს.

აღნიშნული პროგრამებით სარგებლობა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდის საშუალებით – www.supremecourt.ge.

crease the frequency of use of the Court decisions by the judges and the interested parties at national level.

• The Catalog of International Legal Treaties and Acts aims to increase the frequency of use of international acts by judges and the interested parties at national level. The judges, as well as other interested parties, will be able to see thematically organized acts of international law, both Georgian and English versions on the webpage of the Supreme Court of Georgia. The Catalog of Acts covers the basic rights, criminal justice, the rights of women and children, the environment, economic and cultural justice related international legal instruments.

These programs can be accessed and used on the website of the Supreme Court of Georgia – www.supremecourt.ge.

X. სასამართლო და საზოგადოება

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფა და საზოგადოებასთან ურთიერთობა რეფორმის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახდა.

რეფორმის დასაწყისშივე სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა სასამართლოსა და საზოგადოებას შორის გამჭვირვალე ურთიერთობის დასამყარებლად, რის გამოც სასამართლოებში სპიკერი მოსამართლის ინსტიტუტი ამოქმედდა. მსგავსი პრაქტიკა არსებობს ევროპის მრავალი ქვეყნის სასამართლოებში. სპიკერი მოსამართლის მეშვეობით სასამართლოს აქვს საშუალება, საზოგადოებას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მარტივად, გასაგები ენით აუხსნას.

სასამართლოებმა დაგეგმეს და განახორციელეს არაერთი ღონისძიება, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას და

X. THE COURT AND THE PUBLIC

Transparency of the judiciary system, adhering to the principle of publicity and public relations has become one of the important preconditions for the success of the reform.

Significant steps were taken towards establishment of transparent relations between the court and the public right after beginning of the reform, and an institute of speaker judge has been introduced at courts. Similar practice already exists at the courts of many European states. Through the speaker judge, the court now has an opportunity to explain their decisions to the public with a simple and understandable language.

The courts have planned and implemented many events, which were targeted on more involvement of the public and raising their awareness on the ongoing processes. Role of the media has increased and its qualification was enhanced in regards to the coverage of news taking place within the field of justice.

ინფორმირებას მიმდინარე პროცესების შესახებ. გაიზარდა მედიის როლი და ამაღლდა მისი კვალიფიკაცია მართლმსაჯულებაში მიმდინარე სიახლეების გაშუქებისას.

ჩატარდა არაერთი ტრენინგი, რომლებზეც სხვადასხვა ინსტანციის სპიკერ-მოსამართლეები და მედიის წარმომადგენლები ერთობლივად განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საჯარო გამოსვლა და პრეზენტაცია, ეფექტური და დამარწმუნებელი კომუნიკაცია, სასამართლოსა და მედიას შორის დიალოგის აუცილებლობა, სასამართლო ჟურნალისტიკა.

მედიის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მიიღონ თემატურად მრავალფეროვანი ინფორმაცია უზენაესი, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების ვებ-გვერდების საშუალებით, ინტერნეტის დახმარებით მათ ასევე საშუალება აქვთ გაეცნონ უზენაესი სასამართლოს როგორც მიმდინარე, ასევე დაარქივებულ გადაწყვეტილებებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გამჭვირვალობის კუთხით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში რეგულარულად იმართება შეხვედრები მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებთან.

შეხვედრების მიზანია მიმდინარე სასამართლო რეფორმის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ბოლო პერიოდში ამ კუთხით განხორციელებული ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა.

სასამართლოს მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით დაგეგმილი პროექტები მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, საზოგადოებაში სამართლებრივი ქცევის წესების ჩამოყალიბებასა და სამართლებრივი შეგნების განვითარებას.

საბოლოო ჯამში, ინფორმირებულობის ზრდის პარალელურად, იზრდება მოსახლეობის ნდობა სა-

Many training sessions have been arranged, where the speaker judges of various instances and media representatives discussed issues together such as: public speaking and presentation, effective and persuasive communication, necessity of a dialogue between the court and the media, judicial journalism.

Media representatives have an opportunity to get information on diverse topics via the web pages of city courts, courts of appeal and the Supreme Court. With the Internet they can also get familiar with the current and archived judgments of the Supreme Court.

In regards to the transparency of public relations, meetings are regularly held with international and non-governmental organizations and media representatives at the High Council of Justice.

These meetings aim at providing more information about the ongoing judiciary reform, court independence and recent institutional and legislative amendments made in this respect.

The PR projects have been planned by the court with the goal of raising public awareness regarding the ongoing processes within the judiciary, establishment of rules of legal behavior among the public and development of legal understanding.

Ultimately, alongside with raising awareness, the public confidence in the judiciary is also increasing. Analysis of researches held by various international organizations and those of arranged by the court makes it clear that every year more and more people state their confidence in the judiciary.

სამართლოს მიმართ. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოს ძალებით ჩატარებული კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი აფიქსირებს სასამართლოს მიმართ ნდობას.

XI. მართლმსაჯულების მუზეუმი

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2013 წლის 15 მაისს, მოსამართლის დღესთან დაკავშირებით „მართლმსაჯულების მუზეუმი“ გაიხსნა. იგი ორი დარბაზისგან შედგება: საექსპონატო და ისტორიული „I დარბაზისაგან“.

საექსპონატო დარბაზში გამოფენილია ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ასევე განთავსებულია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ისტორიისა და იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სამართლის განვითარებაში.

„მართლმსაჯულების მუზეუმში“ დაცულია მულაჟები ისეთი მნიშვნელოვანი ქართული სამართლის ხელნაწერებიდან, როგორიცაა: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, დასტურლამალი, ბექა-აღბუღას სამართალი, ძეგლის დება, კურთხევანი და სხვა. მუზეუმში დაცულია ასევე თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალის ხელრთვით შესრულებული საბუთები. მუზეუმში ინახება ერეკლე II-ის მეფობის დროს მოჭრილი მონეტა, რომელზეც გამოსახულია თემიდას სასწორი. მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის ამსახველ ინფორმაციას. აქვეა დაცული ის სამოსამართლო მედალიონი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ატარებდა მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობისას. საექსპონატო დარბაზში გამოფენილია ასევე ინფორმაციები ნაფიცი ვექილების შესახებ, ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებულის მიხედვით მოსამართლის თვისებების აღწერილობა და სხვა მნიშვნელოვანი ცნობები ქართული სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ. მუზეუმში გამოფენილია სასამართლოში საქმის

XI. MUSEUM OF JUSTICE

There was a Museum of Justice opened at the Supreme Court of Georgia on May 15, 2013 in connection to the Judges Day celebration. It consists of two hall: Exhibits Hall and the Historical Courtroom #1.

There is an exhibition of old Georgian legal monuments in the Exhibits Hall, and also there is information displayed about the history of the Supreme Court and those outstanding public figures who have greatly contributed to the development of the Georgian law.

The Museum of Justice displays the replicas of the significant manuscripts of the Georgian law, such as: Code of Laws of the King Vakhtang VI, Dasturlamali, Law of Beka-Aghbugha, Dzeglisdeba (Set of Rules), Blessings, etc. The museum also exhibits the documents written by King Tamar and King Giorgi the Brilliant. There is also a coin issued during the rule of King Erekle II displaying the scales of Themis. The museum has allocated a distinguished place for displaying information about Ilia Chavchavadze when we was working as an arbitrator-judge. There is also a judicial medallion that Ilia Chavchavadze was wearing while performing his judicial duties. There are some pieces of information at the Exhibits Hall about the sworn attorneys, description of the characteristic features of a judge according to the Book of Law of Vakhtang VI, and other important notes about various stages of the development of the Georgian law. The museum displays

წარმოების ძველი და ახალი წესების ამსახველი ინ-ფორმაცია და ხელსაწყოები.

მუზეუმში დაცული ყველა ექსპონატის დათვალიერე-ბა და ასლის ამობეჭდვა შესაძლებელია ინტერაქტი-ული მონიტორის მეშვეობით.

მუზეუმის მეორე ნაწილში შენარჩუნებულია ისტორი-ული „I დარბაზი“ 1970-იანი წლების დროინდელი ინ-ტერიერით. ამ დარბაზში იმართებოდა გახმაურებული პროცესები, მათ შორის, ე.წ. „თვითმფრინავის გამტაცე-ბელთა“, „მხედრიონელთა“ და სხვათა საქმეებზე.

XII. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში მნიშ-ვნელოვანი სიახლე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებას უკავშირდება.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპრო-ცესო კოდექსის მიხედვით, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა, გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქ-მეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა მიერ.

2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სა-სამართლო მოქმედებდა მხოლოდ თბილისის სა-ქალაქო სასამართლოში და განიხილავდა მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის საქმეებს. ასევე იმ საქმეებს, სადაც სახეზე იყო დანაშაულთა ერთობლიობა – თუ სხვა კატეგორიის დანაშაულთან ერთად პირს ბრალი ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაშიც.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომ-ბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოში უფლება აქვს, ასევე გა-ნიხილოს ისეთი საქმეები, როგორიცაა მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, განზრახ მკვლელობა უეცა-რი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში,

information and tools explaining the old and new case management procedures at court.

All the museum exhibits can be seen and copies can be printed out with the help of an interactive monitor. There is a historical Courtroom #1 preserved in the second half of the museum, with the interior of the 1970s. This is where the high-profile cases were heard, among them the case of “aircraft hijackers”, “case of Mkhedrioni soldiers”, etc.

XII. JURY TRIAL

Major innovation in the history of the Georgian justice is re-lated to the introduction of jury trial.

In accordance with the new Criminal Procedure Code of Geor-gia, which has been enacted since October 1, 2010, certain types of criminal cases shall be heard by jurors.

The jury trial was functioning only at Tbilisi City Court until October 1, 2012, and it heard the cases of premeditated murder committed in aggravated circumstances under its jurisdiction. The Jury trial also heard the cases with multiple crimes – if the defendant was charged with premeditated murder alongside with another crime of different category.

From October 1, 2012 until October 1, 2014, the jury trial at the Tbilisi City Court can also hear the cases such as murder based on the victim’s request, premeditated murder in case of heat of passion, intentional murder of the newborn child by the mother, homicide by exceeding the limits of necessary repel in the cases of self-defense, and homicide by exceeding the measures that were necessary for detaining a criminal.

With the amendments made to the Criminal Procedure Code, territorial coverage of hearing cases by the jury trial was ex-panded, and the cases of premeditated murder in aggravated circumstances are heard by the jury trials also in Kutaisi City Court from October 1, 2012 until October 1, 2014.

Until October 1, 2014, other than the above-mentioned crimes, jury trials at the city courts of Tbilisi, Kutaisi and Ba-tumi will also hear high-profile criminal cases of those offi-cials, who are or were holding high official positions; also the cases of those people who are charged with committing a crime with high-rank officials.

დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით და მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმეთა განხილვის ტერიტორიული არეალი და 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ასევე განიხილავს ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

2014 წლის 1 ოქტომბრამდე, ზემოაღნიშნული დანაშაულების გარდა, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ასევე განიხილავენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე იმ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის საქმეებსაც, რომლებსაც უკავიათ ან ეკავათ მაღალი თანამდებობები; ასევე იმ პირთა საქმეებსაც, რომლებიც ბრალდებულნი არიან თანამდებობის პირებთან ერთად დანაშაულის ჩადენაში.

2011 წლიდან 2014 წლის თებერვლამდე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით 8 პროცესი გაიმართა, რომელთაგან 7 თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, ხოლო ერთი – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ნაფიც მსაჯულთა მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს როგორც სასამართლოს რეფორმის, ასევე ქვეყნის დემოკრატული განვითარების პროცესში, მართლმსაჯულების განხორციელებაში ერთვება თავად საზოგადოება და მხოლოდ იგია უფლებამოსილი გადაწყვიტოს ბრალდებულის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის საკითხი გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის გზით.

XIII. მედიაცია

მედიაცია, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მესამე პირის დახმარებით წარმოებული მოლაპარაკების ტექნიკა, თავისი თანამედროვე ფორმებით საქართველოში სიახლეს წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებები აწესებს სავალდებულო მედიაციას ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორიცაა საოჯახო სამართლებრივი დავები (გარდა შვილად აყვანისა), სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები, სამეზობლო სამართლებრივი დავები და ნებისმიერი დავა მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. აღნიშნული კატეგორიის საქმეები სასამართლომ, შესაძლოა, საკუთარი ინიციატივით დაუქვემდებაროს მედიაციას. სასამართლოს განჩინება დავის მედიაციისთვის გადაცემის თაობაზე საბ-

In total, there were 8 jury trials held from 2011 until February 2014. 7 of these cases were held at Tbilisi City Court, and one – at Kutaisi City Court.

Hearing of criminal cases by jurors represents one of the important stages for the judiciary reform, also during the process of democratic development of the country. The society gets involved in the administration of justice and it is only them who have the authority and decide whether the defendant is guilty or innocent by passing the verdict of guilty or not guilty.

XIII. MEDIATION

Mediation, as a technique of conducting the negotiation with the help of the third person, who is equipped with special knowledge, represents a novelty with its contemporary forms in Georgia.

The amendments made to the Civil Code of Georgia in December 2011 institutes mandatory mediation for the cases such as domestic disputes (except adoption), inheritance disputes and any other dispute if the parties so agree. The court may decide to have mediation for these case categories based on his/her initiative. The court ruling on transferring the dispute for mediation is final and is mandatory for the parties.

Mandatory nature of mediation implies the only obligation for the parties to make appearance at the mediation session (2 mandatory sessions), and to participate in the hearing in good faith. Besides, it no way obligates the parties to reach an agreement. Outcome of the dispute depends solely on the will of the parties in the mediation process.

A mediator is a neutral person, who ex-

ოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად.

მედიაციის „სავალდებულოობა“ გულისხმობს მხოლოდ მხარეთა ვალდებულებას, გამოცხადდნენ მედიაციის სესიაზე (2 სავალდებულო სესია) და კეთილსინდისიერად მიიღონ პროცესში მონაწილეობა. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, მიაღწიონ შეთანხმებას. მედიაციის პროცესში დავის დასრულების შედეგი მხოლოდ მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

მედიატორი არის ნეიტრალური პირი, რომელიც საქმეში მონაწილე მხარეებს ზუსტად უხსნის საქმის ვითარებას და ცდილობს ხელი შეუწყოს მხარეებს შორის მორიგების მიღწევას.

მედიაციის ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტია მხარეების ჩართულობა თავიანთი საქმის მოგვარების პროცესში. მედიატორის დახმარებით, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით.

მედიაციაზე, სასამართლო ბაჟისაგან განსხვავებით, დავის ღირებულების 3%-ის ნაცვლად იხდიან 1%-ს, სულ მცირე 50 ლარს. ხოლო თუ მხარეები მედიაციის პროცესში მიაღწევენ შეთანხმებას, მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სასამართლო ბაჟის 70%.

მედიაციის პროცესში მხოლოდ მხარეები წყვეტენ შეთანხმების შესაძლებლობას და პირობებს. თუკი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.

დღესდღეობით, საპილოტე პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მედიაციის პროცესები ტარდება მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში. საპილოტე პროგრამის დანერგვაში, სასამართლოსთან ერთად აქტიურად ჩაერთო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP).

2012 წლის 7 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურ ცენტრს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს (JILEP) შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს სასამართლო მედიაციის თემასთან დაკავშირებით და მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მედიაციისთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახები, სადაც იმართება მედიაციის პროცესები.

plains the case circumstances exactly to the case participants, and tries to support dispute resolution between the parties.

Main priority of the mediation institute is to ensure involvement of parties in their dispute resolution process. With the help of the mediator the parties make decision on their own regarding the case.

Unlike the court fee, the parties have to pay 1% of the dispute value instead of 3%, at least 50 GEL. However, if the parties reach the agreement during mediation, the claimant shall get back 70% of the court fee s/he has paid.

It is only the parties who decide the possibility and terms and conditions of agreement. If the agreement cannot be reached, any party has the right to refer to the court.

As of today, within the frameworks of the pilot program, the mediation processes are held in Georgia only at Tbilisi City Court. Together with the court, the German Society for International Cooperation (GIZ) and USAID's Judicial Independence and Legal Empowerment Project (JILEP) were actively involved introducing the pilot program.

There was a Memorandum regarding the court mediation and future cooperation signed on May 7, 2012 among the High Council of Justice of Georgia, High School of Justice, Tbilisi City Court and the National Center for Alternative Dispute Resolution at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the GIZ and the USAID's project JILEP.

There are special rooms designated for mediation at Tbilisi City Court and the Supreme Court of Georgia, where the mediation sessions are held.

გამოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ
ISSUED BY THE SUPREME COURT OF GEORGIA